სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080109895961022

№ 1080 29 / მარტი / 2022 წ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისთვის სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2022 წლის 24 მარტს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის SMP220000880 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2022 წლის 4-5 მარტს ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების შესაკეთებლად საჭირო გადახურვის მასალების შესყიდვას (CPV - 44100000 - სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალები), ღირებულებით 5210.00 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 2022 წლის 4-5 მარტს მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანდა საცხოვრებელი სახლების სახურავები. საგულისხმოა, რომ მოსახლეობამ დახმარების თხოვნით წერილობით მიმართა მუნიციპალიტეტის მერიას. შექმნილი ვითარება მნიშვნელოვან ზიანს აყენებს საზოგადოებრივ ინტერესებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია სახლების შესაკეთებლად საჭირო გადახურვის მასალების შესყიდვა განხორციელდეს შეზღუდულ ვადებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში არ გამოუხატავთ მოსაზრება.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, როგორც მომართვიდან ირკვევა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 2022 წლის

4-5 მარტს მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანდა საცხოვრებელი სახლების სახურავები. საგულისხმოა, რომ მოსახლეობამ დახმარების თხოვნით წერილობით მიმართა მუნიციპალიტეტის მერიას. შექმნილი ვითარება მნიშვნელოვან ზიანს აყენებს საზოგადოებრივ ინტერესებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია სახლების შესაკეთებლად საჭირო გადახურვის მასალების შესყიდვა განხორციელდეს შეზღუდულ ვადებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო დამატებით მიუთითებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. ასევე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს რელევანტური მიმწოდებლის შერჩევა და ამ შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურების კანონიერება. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის SMP220000880 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ხელმოწერილია/შტამპდასმულია ელექტრონულად ზაზა ნანობაშვილი